წელიწადს „ოქროთი“ აგვირგვინებენ

თბილისის დინამოელთა დაჯილდოება

26 დეკემბერს, თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმო ვითარებაში ოქროს მედლები გადაეცათ 1978 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებულ თბილისის დინამოელებს. აი ისინიც, ვისაც ხვდა საკავშირო პირველობის უმაღლესი ჯილდო: **დავით გოგია, თამაზ კოსტავა, ნოდარ ხიზანიშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ფირუზ კანთელაძე, დავით მუჯირი, გორა მაჩაიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, ვახტანგ ქორიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია და რევაზ ჩელებაძე.**

მცირე ოქროს მედლები გადაეცათ საკავშირო ტურნირში გამარჯვებულ თბილისის „დინამოს“ თადარიგის მოთამაშეებს.

თბილისის „დინამოს“ გუნდს გადაეცა ავრეთვე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის თასი, ფედოტოვის სახელობის პრიზი ყველაზე მეტი გატანილი ბურთებისათვის და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობებით გამარჯვებისათვის.

პრიზის „გუნდთან ერთად“ დაუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენმა მაყურებლებმაც, რომლებიც მთელი სეზონის მანძილზე აქტიურად უჭერდნენ მხარს საყვარელ გუნდს.

ახალ ჩემპიონებს გულთბილად მიესალმნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ლობჟანიძე**, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ასათიანი**, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **პ. ბოგდანოვი**, დიდოსტატი **მ. ტალა**, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **ბ. პაიჭაძე**, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე **ვ. ალავერდოვი**, სსრ კავშირის დამსახურებული მოსამართლე **გ. ჩალინი**, საქართველოს მწერალთა გამგეობის მდივანი **ჯ. ჩარკვიანი**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრი **ი. ხარატიშვილი** და სხვ.

შეხვედრას ესწრებოდნენ **გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, უ. კ. შარტავა.** (საქინფორმი).

კრონლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 253 (6308)

27 დეკემბერი ოთხშაბათი.

1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კოფშაკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ემზადებიან

ბაკურიანში — ჰაერზე, თოვლსა და მზეზე

ბაკურიანში სათხილამურო სეზონი მხოლოდ შუა დეკემბერში გაიხსნა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ამ სამთო კურორტს სპორტსმენები ადრეც არ აკლდა: საერთო ფიზმომზადების სრულყოფისათვის აქ თავი მოიყარეს საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებმა — ჩოგბურთელებმა, ძიუდოისტებმა, ძალოსნებმა, აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატებმა, მათ, ვისაც 1979 წლის სასპარტაკიადო სტარტებში არაერთი ბრძოლის გადატანა მოუხდებათ.

ხალხთა სპარტაკიადა კი 6 ივლისს სწორედ ჩოგბურთელთა ტურნირით იწყება. ამ კომპლექსური შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, 5 აგვისტოს დავას ხაბოლოოდ გაარკვევენ წყალში მხტომელები, ფრენბურთელი ქალები, ძიუდოისტები და ძალოსნები.

ასეთი მარათონული ასპარეზობა სპარტაკიადის სიახლეა, მაგრამ სხვა განმასხვავებელი ნიშანიც აქვს — მის სტარტზე პირველად გამოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 2000-ზე მეტი წარმომადგენელი.

ცხადია, საქართველოს სპორტსმენებს რთული და საპატიო ამოცანა აქვთ გადასაჭრელი, ამიტომ ყოველ საათს მაქსიმალურად იყენებენ ფიზიკური და ტექნიკური სრულყოფისთვის, ერთი სიტყვით, აქტიურად ემზადებიან მომავალი წლის მთავარი სტარტებისთვის.

ეს ფოტომასალაც, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა გადაიღო, ბაკურიანში საქართველოს სპორტსმენთა რამდენიმე ჯგუფის მორიგ დღეზე გვიამბობს.

ნიჩბოსნებმა (1-ლი ფოტო) ვარჯიში ეს-ესაა დაამთავრეს... ჩოგბურთელები (№ 2), ძალოსნები (№ 3) და ძიუდოისტები რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატის ეზოში მზეზე, თოვლსა და სუფთა ჰაერზე წვრთნას ამჯობინებენ.

ᲥᲐᲓᲠᲐᲙᲘ

დღეს საზეიმო დახურვაა

გუშინწინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება, რომელშაც დასკვნითი, XVII ტურის წინ ჩემპიონის ოქროს მედლის მაძიებელთა რიგებში სიცხადე შეიტანა.

თამაშის განუახლებლად ა. ბელიავსკი დანებდა მ. ტალს, ი. დორფმანი — ო. რომანიშინს. ლ. პოლუგაევსკიმ ზუსტი მანევრებით შეძლო უპირატესობის რეალიზება გ. კუზმინთან პარტიაში. ყაიმზე შეთანხმდნენ კუზმინი — ვ. ტუკმაკოვი და ვ. ბაგიროვი — ი. რიბუკევი.

16 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობა იყო: მ. ტალს 10,5 ქულა ჰქონდა, ვ. ცეშკოვსკის — 10, ლ. პოლუგაევსკის — 9,5, თ. გიორგაძეს — 9, ე. გელერს, ა. ბელიავსკის — 8,5-8,5, ჯ. კასპაროვს, ე. სვეშნიკოვს — 8-8.

გუშინ შედგა XVII ტური, რომელშიც ტალი დაუბრუნდა კასპარ ვს და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი გაინაღდა. დორფმან-ცეშკოვსკისა და გიორგაძე-პოლუგაევსკის პარტიები გადაიდო.

დღეს დილით (11 ს.) მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს (19 ს.) ჩემპიონატის საზეიმო დახურვაა.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

ბმირის ხსოვნას მიეძღვნა

ქუთაისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა სამოქალაქო ომის გმირის ვასილ კიკვიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1963-64 წლებში დაბადებული ნორჩი მოკრივეები დნეპროპეტროვსკიდან, ლენინაკანიდან, კიროვაკანიდან, ფოთიდან, თბილისიდან და ქუთაისიდან. ასპარეზობაზე 200-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა.

თბილისელმა დინამოელებმა ა. აკდოევმა (48 კგ) და ლ. ოქრიაშვილმა (63 კგ) შესანიშნავად ჩაატარეს ფინალური ორთაბრძოლები და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ (მწვრთნელი ს. წინამძღვრიშვილი).

ვ. კიკვიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პრიზი, რომელიც საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა დაწესა, საუკეთესოდ ჩატარებული ორთაბრძოლებისთვის ფოთელ იური საკოჩკინს გადაეცა.

ლ. იაშაღაშვილი.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ახლახან ბაკოში გაიმართა ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებათა თეორიული კონფერენცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნების — „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამირის“ მიხედვით.

მოხსენებით თემაზე: „ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნის „მცირე მიწის“ მიხედვით“ გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ვ. გოლეთიანი. კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს მოხსენება თემაზე „სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა მოგონებათა წიგნის „აღორძინების“ მიხედვით“, რომელიც გააკეთა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ლ. ნაკაიძემ (მეცნიერ-ხელმძღვანელი დოც. მ. აგაჯანოვი), მოხსენებით თემაზე: „საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლები უამირზე“ გამოვიდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის სტუდენტი მ. გვაზავა (მეცნიერ-ხელმძღვანელი, დოც. კ. დოლიძე). საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამივე სტუდენტი დაჯილდოვეს პირველი ხარისხის დიპლომითა და აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

უგანდელი სპორტსმენები ხალხთა სპარტაკიადაზე

კამპალა. უგანდის ეროვნული სპორტული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჯ. კაკირემ საღამოს კორესპონდენტს აცნობა, რომ უგანდელმა სპორტსმენებმა მიიღეს მოწვევა და იასპარეზებენ 1979 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში.

— დარწმუნებული ვარ, რომ სპარტაკიადაში შეჯიბრებები საინტერესო და დიდად სასარგებლო იქნება, — თქვა კაკირემ. — უცხოელი სპორტსმენები გაეცნობიან მეტოქეებს, მოსკოვში შეჯიბრების პირობებსა და თავისებურებებს, რაც ძალიან გამოადგებათ ოლიმპიური თამაშების დროს. ჩვენ გვინდა მომავალ სპარტაკიადაზე გამოვცადოთ მოკრივეები, მძლეოსნები და ბალახის ჰოკეისტები.

კაკირეს აზრს იზიარებს უგანდის მძლეოსანთა ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელი ჯ. დეკე. „ძალიან მინდა, — ამბობს იგი, — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე შევამოწმო ჩემი გუნდის შესაძლებლობა და მზადყოფნა „ოლიმპიადა-80“-ისთვის: დარწმუნებული ვარ, ამ ასპარეზობის ფართო წარმომადგენლობა და აქ გაჩაღებული მწვავე კონკურენცია მონაწილეებს კარგი შედეგების ჩვენებისა და ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მომზადების შესაძლებლობას მისცემს“. (საკდესი).

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

გაკეთდა, კეთდება, უნდა გაკეთდეს

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებებმა დიდი როლი შეასრულეს ზესტაფონის რაიონში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გაუმჯობესებაში. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ახლა უფრო ქმედით დახმარებას უწევენ პირველად ორგანიზაციებს, მეტს ზრუნავენ ცალკეული სახეობების განვითარებისთვის.

ზესტაფონის, რაიონში 99 ფიზკულტურული ორგანიზაციაა, რომლებშიც 27 ათასზე მეტი კაცი, ანუ მოსახლეობის 39 პროცენტზე მეტია გაერთიანებული. შარშან რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. ცუდი მაჩვენებლები თითქოს არც წელსაა, აქ 10 თვეში მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 4 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 5 პირველთანრიგოსანი და 1900-ზე მეტი მასობრივი თანრიგის სპორტსმენი...

კარგად ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული რიგი შეჯიბრებები, ზესტაფონელებმა უფრო მეტ რესპუბლიკურ ტურნირში სცადეს ძალა, ვიდრე წინა წლებში, კვალითის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ დ. ხუსკივაძემ კიჰიდაობა ძიუდოში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა.

რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის. განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტულ დარბაზს მიეშენდა ფარიკაობისა და ჭიდაობის სექციების მუშაობისთვის საჭირო ნაგებობანი, სასროლეთები ააგეს ქალაქის № 4 საშუალო სკოლასთან, ზედა საქარის, ქვედა საზანოს, მეორე სვირის № 2 და ცხრაწყაროს საშუალო სკოლებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ფეხბურთის მინდორი მოეწყო „საქკაბელის“ ტერიტორიაზე, მომდინარეობს ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონის კაპიტალური შეკეთება...

მაგრამ რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარეზია. ეტყობა, ყველამ ჯერ კიდევ ვერ გაიგო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების მნიშვნელობა. სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს რაიონში ქალთა სპორტის განვითარების დონე; ჩამორჩება მძლეოსნობა, ძალოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ტყვიის სროლა, ლელობურთი... მატერიალური ბაზების უქონლობის გამო ჭადრაკის განვითარების არავითარი პერსპექტივა არაა. დაიკარგა „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდის კარგი ტრადიციები; არ სრულდება საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება საწარმოოდაწესებულებებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ბევრ საწარმოში, მათ შორის მოსახლეობის მომსახურების სამმართველოში დღემდე არ ჰყავთ ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

ნაკლოვანებებია განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზკულტურული საბჭოების მუშაობაში. რაიონის არცერთ სკოლას არ აქვს 80-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლი, კეთილმოწყობილი სარბენი ბილიკები, საცურაო აუზი. უმნიშვნელო რაოდენობითაა სახტომი ორმოები, სატყორცნი სექტორები...

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მხრივ უარესი მდგომარეობაა სოფლად: არც ერთ სოფლის სკოლას არ გააჩნია კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი. ტაბაკინში, ილემში, ძირულაში, რაიკოოპერატივის, „ქალაქვაჭრობის“, „საქსოფლტექნიკის“ და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში კაცად ითვლება, [illegible] მეურნეობათა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დანერგვისთვის. მივიწყებულია ქალაქის საუწყებო საცხოვრებელ სახლებთან ჯანმრთელობის კერების მოწყობა.

ეს ნაკლოვანებანი იმითაა განპირობებული, რომ ხსენებული წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები ზერელედ ეკიდებიან ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს, ძველებურად თვითდინებით მიჰყვებიან ყოველდღიურობას, მათ არ უწყით, რომ ფიზკულტურა და სპორტი დღეს სახელმწიფოებრივი საქმეა და ამ დიდ საქმეს შესაფერისი გაძღოლა და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ბ. განუგრავა,
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

მიგანი ნათელია

საქართველოს ავტომრავალჭიდელებმა სპორტის ტექნიკური სახეობების წინა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც 1975 წელს ვაიმართა, გუნდური პირველობა მოიგეს, ხოლო სპორტის ოსტატებმა რ. მაისურაძემ და ვ. გოგაძემ ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს.

წლევანდელი სეზონი შედარებით უიღბლო გამოდგა: თუმცა რიგში ჩვენები ფინიშთან კვლავ მესამენი მივიდნენ, მაგრამ ქვეყნის ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში გუნდი მხოლოდ VIII ადგილს დასჯერდა. ამის მთავარი მიზეზი გახლდათ ვ. გოგაძის უხეირო გამოსვლა. ამ სპორტსმენია პირად შეჯიბრებაში 26-ე ადგილი დაიკავა, რამაც გუნდი მეთვის უჩვეულო ადგილზე გადაწია.

საკავშირო სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში საქართველოს ავტომრავალჭიდელთა ნაკრებს საკმაო სახრუნავი აქვს: რ. მაისურაძისა და ვ. გოგაძის გარდა ნაკრებში კიდევ ორი ახალგაზრდა ჩაირიცხა (ვინაიდან ტურნირის პროგრამა გაიზარდა — მას გაზ-52 ბარკის მანქანებით შეჯიბრება დაემატა), ესენი არიან ა. კუბლაშვილი და ო. ხოსანაშვილი. ეს იმითაა ნაკარნახევი, რომ სპარტაკიადის დებულებით გუნდის წევრთა 50 პროცენტი მინც 25 წლამდე ასაკის უნდა იყვნენ.

როგორც ვხედავთ, ნაკრების შემადგენლობა დიდი როდია — სპარტაკიადაში სულ ოთხმა კაცმა უნდა იბრძოლოს გუნდურ და პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილებისთვის. ამასთან, მაისურაძე ნაკრების მწვრთნელის მოვალეობასაც ასრულებს. იგი ყველაზე გამოცდილი სპორტსმენია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ბევრი საკავშირო შეჯიბრების ლაურეატს სწორედ 1975 წლიდან ანდეს აღმზრდელის მოვალეობა და ისიც ამ საქმეს მთელი გულისყურით, სიყვარულით ეკიდება.

გუნდის ახალგაზრდა წევრები კუბლაშვილი და ხოსანაშვილი ჯერ მხოლოდ სპორტის ოსტატობის კანდიდატები არიან, მაგრამ ავტოსპორტი ისე უყვართ და ისე გულმოდგინედ ვარჯიშობენ, რომ სპარტაკიადისათვის უდავოდ უძლიერესთა შორის ვიხილავთ. ხოსანაშვილი წლეულს პირველად მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატში და საწვაკის ეკონომიაში მეხამე შედეგი აჩვენა (როგორც ცნობილია, ავტომრავალჭიდელთა პროგრამაშია მანქანის ფიგურული მართვა, საწვავის ეკონომია და 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა). ხოლო კუბლაშვილმა, რომელსაც გუნდში მოსვლისას მხოლოდ მოყვარულის უფლებები ჰქონდა, საკმაოდ სწრაფად შეითვისა „გაზ-52“ და ახლა გამოცდილ მძღოლებს არ უდგებს ტოლს.

ჩვენი ნაკრები მალე დაიწყებს მზადების გადამწყვეტ ეტაპს. უკვე შეფუშავებულია საწვრთნო შეკრების გრაფიკი და დაგეგმილია ის ტურნირები, რომლებშიც საქართველოს ავტომობილისტები მიიღებენ მონაწილეობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტსმენთა საერთო ფიზმომზადებას, მისი დამთავრების მერე გუნდი გაემგზავრება ბაკოში საკავშირო ჩემპიონატზე. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ავტომოტოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის მინისტრს თ. დავითაშვილს, საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის სპორტტექნიკური კომიტეტის უფროსს თ. ჩხაიძეს და გუნდის უფროსს, თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების № 3 საწარმოოს დირექტორს დ. სიხარულიძეს.

მაგრამ ნაკრების მზადებაში სიძნელეებიც არის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალჭიდელთა შეჯიბრების პროგრამაში მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაც შედის, მაგრამ საქართველოს ავტომობილისტებს ამ სახეობაში სავარჯიშო ადგილი არ გააჩნიათ. სწორედ ამის შედეგი იყო საკავშირო ჩემპიონატში უხეიროდ გამოსვლა სროლაში. იმ გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები კი დღემდე არავის გამოუტანია. გადასაწყვეტია გუნდის წევრების საკმარი რაოდენობის საწვავით უზრუნველყოფის საკითხიც.

საბჭოთა კავშირის სპარტაკიადისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაშია, ამიტომაც ყველამ, ვისაც ეს ეკუთვნება, ახლავე უნდა იბრძოლოს ნაკრებისთვის ყველა საჭირო პირობების შესაქმნელად. სპარტაკიადაში ჩვენი მთავარი მეტოქეები ექნებიან რსფსრ-ს, ლატვიისა და უკრაინის კოლექტივები, თუმცა გამორიცხული არ არის სხვა რესპუბლიკების გუნდების მძაფრი კონკურენცია. როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა რ. მაისურაძემ გვითხრა, ნაკრების წევრები ყველაფერს გააკეთებენ წინა სპარტაკიადაში მოპოვებული ბრონზა ადგილის შესანარჩუნებლად.

გ. ქვათაძე.

ფედერაცია მხარს უჭერს

ბოლო ხანებში ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების აღდგენისათვის ბევრი კონკრეტული ღონისძიება განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაში. ეს ლოგიკური შედეგია იმ მიზანდასახული მუშაობისა, რასაც საქართველოს ცხენოსნობის ფედერაცია (თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა) და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო ეწევა (თავმჯდომარე ვ. ელენტი) ამ სახეობის წინსვლა-დაწინაურებისთვის.

ახლახან გაიმართა ფედერაციის სხდომა, რომელმაც შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დასახა ახალი ამოცანები. 1978 წლის სპორტული სეზონის შედეგების შესახებ ინფორმაცია გააკეთა ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა თ. გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული, როგორც ცხენოსნობის ეროვნულ, ისე საერთაშორისო სახეობების მასობრიობის საქმეში. სოფლად სისტემატურად ტარდება საჩვენებელი გამოსვლები „ცხენბურთში“, „ისინდში“, მარუღაში, დოღში. მასობრიობით გამოირჩევა რესპუბლიკური შეჯიბრებები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, რომელსაც ტრადიციულად მართავს საქართველოს სპორტკომიტეტი და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო. თბილისის იპოდრომმა შეიძინა ოცამდე თუშური ცხენი და რეალური პერსპექტივა შეექმნა ჩვენს რესპუბლიკაში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების პირველი ნაბიჯების გადასადგმელად. თბილისელმა სპორტის ოსტატმა მ. კიკიანმა, საქართველოს ცხენოსნობის ისტორიაში პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი ცხენის გაწვრთნაში.

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენი რესპუბლიკის მხედართა მზადების შესახებ ილაპარაკა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კ. გაშიბაიაზოვმა. ფედერაციამ ოპერატიული ზომები მიიღო იმ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად, რაც გუნდს ჩელს უშლის ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის მზადებაში. აქვე ვიტყვით, რომ ფედერაციის სხდომის შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში მოგვარდა თვისა და მოხტუნავეებისთვის დაბრკოლებათა დაბადების საკითხი.

მოზარდთა შორის ცხენოსნობის მასობრივად დანერგვის ამოცანებზე ილაპარაკა თბილისის საცხენოსნო ბაზის უფროსმა გ. კალმახელიძემ.

ფედერაციამ განიხილა, აგრეთვე, „ლელოს“ ფურცლებზე მიმდინარე წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნებული წერილი „იპოდრომი დარჩეს იპოდრომად“. ფედერაციამ სამართლიანად ჩათვალა წერილში გამოთქმული კრიტიკა, მხარი დაუჭირა წერილში გამოთქმულ წინადადებებს და მიზანშეწონილად მიიჩნია აღძრას შუამდგომლობა ზემდგომ ორგანოებში, რათა იპოდრომის ტერიტორიაზე გაუქმდეს რესტორანი, მის შენობაში კი გაიხსნას „მხედართა კლუბი“ და „საქართველოს ცხენოსნობის მუზეუმი“. ფედერაციის სხდომის მუშაობა შეაჯამა ნ. ჭითანავამ.

თ. თოფაშვილი.



ბასულ შაბათს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ დარბაზში გაიმართა დედაქალაქის 1978 წლის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში მოსწავლეთა შორის. პირველთანრიგოსნებში საუკეთესო იყო 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლე თ. კერესელიძე. ოსტატობის პროგრამით მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვა ე. ჯაველმა (35-ე სკოლა).

სურათებზე: — ე. ჯაველი (მარცხნივ) და თ. კერესელიძე.
ე. ხუციურაულის ფოტოები.

ძალებს ცდიან აღმზრდელები

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზებზე გრძელდება ამ სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა, რომელშიც 15 ფაკულტეტის 350-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს. პროგრამის 4 სახეობიდან სამში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა.

ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ შერჩეული იყო პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომი სპეციალური პროგრამა, რომელშიც შედიოდა ტყვიის სროლა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი. ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

განსაკუთრებული გულმოდგინება გამოიჩინეს სატრანსპორტო, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, სამშენებლო, კავშირგაბმულობის, სამთო, გეოლოგიური და საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტების გუნდებმა, რომლებმაც ყველა სახეობებში სცადეს ძალა.

ტყვიის სროლის სარბიელზე ხუთმეტივე კოლექტივი გამოვიდა. სატრანსპორტო ფაკულტეტის თანამშრომლებმა 400-დან 345 ქულა მოაგროვეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. მომდევნო ადგილები ერგოთ ჰიდრო-სანტექნიკისა (337) და მექანიკა-მანქანათმშენებლობის (324) ფაკულტეტებს.

პირად პირველობაში ყველაზე ზუსტი მსროლელი გამოდგა ეთნოგრაფიის კათედრის უფროსი ლაბორანტი თ. ტურიაშვილი (გეოლოგიური ფაკულტეტი), რომელმაც მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლით 100-დან 94 ქულა მოაგროვა. ლითონსაჭრელი ჩარხების კათედრის კვალიფიციურმა მუშამ თ. მაკასარაშვილმა (მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი) და ვაგონთმშენებლობის, სავაგონო და რკინიგზის ექსპლოატაციის კათედრის ასისტენტმა ქ. ალადაშვილმა 90-90 ქულას მოუყარეს თავი და II-III ადგილები გაინაწილეს.

ჭადრაკში გუნდური პირველობა სამთო ფაკულტეტის ნაკრებმა მოიგო. II ადგილი ხვდა მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ხოლო III — გეოლოგიური ფაკულტეტის კოლექტივს.

პირად ტურნირში სამთო ფაკულტეტის კათედრის გამგის მოადგილემ დოცენტმა გ. ბუცხრიკიძემ აჯობა ყველას. მეორე დაფაზე საუკეთესო გახლდათ ასისტენტი გ. გიორგაძე, ხოლო მესამე დაფაზე — სამთო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი ტ. ლაგვილავა.

მაგიდის ჩოგბურთში გუნდური ადგილები ასე განაწილდა: სამშენებლო ფაკულტეტი, კავშირგაბმულობის ფაკულტეტი, სამთო ფაკულტეტი. პირად პირველობაში კარგად გამოვიდნენ: ქალთა შორის — დ. ფარსადანიშვილი (ხიდებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების კათედრის უფროსი ლაბორანტი) და დ. დიდებულიძე (უცხო ენის კათედრის მასწავლებელი), ვაჟებში — გ. დათუაშვილი (სამშენებლო მექანიკის კათედრის თანამშრომელი) და ზ. გვიშიანი (პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი).

სამი სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში 10 საჯარიმო ქულით ლიდერობენ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პედაგოგები. მათ სამი ქულით ჩამორჩება კავშირგაბმულობის ფაკულტეტის ნაკრები. 14-14 ქულა აქვთ სამთო და სამშენებლო ფაკულტეტების კოლექტივებს.

ფრენბურთელთა შეჯიბრება გრძელდება.

გ. ზედგენიძე.



ქართული სპორტის ბარომეტრი რამოდენაა ბიბლიოთეკა

3. საახალწლო ზღურგლთან

ხელოვნური გამოდგა წლევანდელი სეზონი ჩვენი სპორტისათვის. ამდენი ჩემპიონი, რეკორდსმენი, ოსტატი მფლობელი, დიდ ტურნირებში გამარჯვებული იშვიათად გვყოლია. ბუნებრივია, ამ მიღწევების სათავე ორგანიზაციული, შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებაში უნდა ვეძიოთ. გარდა ამისა, თვალსაჩინოდ შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულებაც სპორტული მოძრაობისადმი — იგი უფრო ეფექტიანი და ქმედითი გახდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფიზკულტურა და სპორტი ჩვენში არასოდეს ყოფილა ისეთი ზრუნვისა და ყურადღების ცენტრში, როგორც დღესაა. ჩვენ ვიმეორებთ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის უაღრესად დროული და სასიკეთო გადაწყვეტილების შედეგებს. რა თქმა უნდა, ზოგიერთ სულსწრაფ სპორტის ქომაგს ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ტემპი შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს, მაგრამ ერთ ან ორ წელიწადში სასწაულები არ ხდება ისეთ სფეროში, რომელიც ვერ იტანს კამპანიურობას და ლოგიკური განვითარების წეს-კანონებს ემორჩილება. როცა ვამბობთ, წლევანდელი წელი ქართული სპორტისათვის უთუოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთო, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვგულისხმობთ ამ დინამიკურ სვლას და არავითარ შემთხვევაში იმას, თითქოს ამ სფეროში ყველაფერი რიგზეა.

მაინც რა წარმოადგენს დღეს ქართული სპორტის უპირველეს მიზანს, მე ვიტყოდი, აქტუალურ, კონკრეტულ მიზანდასახულებას? თუ მასშტაბურად ვილაპარაკებთ, ძაშინ ჩვენი მიზანია დავიბრუნოთ ოდესღაც საკავშირო სპარტაკიადებში „დაკავშირილი“ მეხუთე ადგილი. რა ვუყოთ, თუკი ბევრს ეს აუხდენელ ოცნებად და სპორტულ უტოპიად მიაჩნია. ჩვენ ვერ ავყვებით სკეპტიკურად განწყობილთ, რადგანაც ისინი თავიანთი შეხედულებებით ნებისთ თუ უნებლიეთ ეკან გვახვევენებენ, პასიფრობისა და ინერტულობის ატმოსფეროს ქმნიან, თვითდაშვიდებას ქადაგებენ. ასეთი შეხედულება, პირველ რიგში, ტრავმას აყენებს მწვრთნელ-სპორტსმენთა ფსიქიკას. რა თქმა უნდა, უფრო ადვილია გულელი დაიკრიფო, მიღწეულს დასტერდე, ათასგვარი ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების მოშველიებით შემდგომ წინსვლაზე უარი თქვა და საბოლოო ჯამში იმ ადგილით დაკმაყოფილდე, რომელიც დღეს გიჭავია. სპორტი თავისი ბუნებით ვერ შეურიგდება ერთ ადგილზე ყოფნას. სწორედ რომ უპრიანია ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილი სიტყვების გახსენება: „ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ ალაგი რომ მოუსვენარი ხარ. აბა ბატარა ხანს დადეგ თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საკმარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს, მოძრაობა და მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის ნიშანი...“ ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ წლევანდელი სეზონი ჩვენთვის, და არა მარტო ჩვენთვის, ჩვეულებრივი არ ყოფილა. მისი შედეგები ალაპარაკდება გაისადაც და ორი წლის შემდეგაც. ისინი თავს გაგვახსენებენ საკავშირო სპარტაკიადასა და ოლიმპიურ თამაშებზე. თანაც, საკავშირო სპარტაკიადა ჩვენთვის წელსვე დიწყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგანაც — პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ქულები აისახება დიდი სპარტაკიადის საერთო ჯამში. ამიტომ მოსწავლეთა სპარტაკიადამ, რომელსაც ადრეც არ აკლდა მნიშვნელობა, მოულოდნელად პირველხარისხოვანი ფუნქცია შეიძინა. როცა ბავშვთა სპარტაკიადაზე ვლაპარაკობთ, დღეს უკვე ეგულისხმობთ დიდი სპარტაკიადის ერთ-ერთ ეტაპს. ჩვენი სპორტული ამბიციებიც ერთგვარად ზემოთ ნახსენები შეჯიბრების მიხედვით უნდა განსაზღვროთ.

გულისტკივილით ვამბობთ, მაგალითად, თბილისელი მოსწავლეების უმოაელესობამ არ იცის ცურვაო, აქედან სათანადო დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ: მასობრიობა და პოპულარობა პირდაპირ პროპორციულია მიღწევებისა. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გავუკვირვებივართ რესპუბლიკის მოცურავეთა ერთობ უხეირო გამოსვლას სპარტაკიადაში, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. სანამდე უნდა ვიყოთ ჩამორჩენილთა რიგებში, სანამდე უნდა გადავუსვათ ხაზი ჩვენს გეგმებს ცურვაში? თანაც, დამარცხებაც არის და დამარცხებაც. მოსწავლეთა წლევანდელ სპარტაკიადაში ჩვენმა მოცურავეებმა ძირითად სასპარტაკიადო კონკურენტთან ყაზეთის სპორტსმენებთან მთელი 163 ქულა წაგებულ! ეს იმას ნიშნავს, რომ სპარტაკიადის საერთო მაჩვენებელში წინასწარ გამორიცხა დიდი რაოდენობის ქულები.

საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ჩვენი მოცურავეები 1979 წლის სპარტაკიადაში თავიანთი უმცროსი კოლეგების დანაკლისის ანაზღაურებას? მეტისმეტად მძიმე ტვირთს ხომ არ ვთავაზობთ მოცურავეთა გუნდს, რომელიც სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე უღიმღამოდ გამოდის? და აი, აქ მთელი სიმწვავით დგება პრობლემა, რომელიც ვერა და ვერ გადაწყდა. ბავშვთა და მოზრდილთა სპორტი, კერძოდ, ერთიერთი სახეობა — ცურვა ერთმანეთთან შეიდრეოდა დაკავშირებული. დღევანდელი მოზარდი ხვალ ნაკრები გუნდის მაისტრს ჩაიცვამს და, ბუნებრივია, რეზერვები უნდა ვეძიოთ სწორედ საყმაწვილო სპორტის წიაღში, თავიდანვე ვიზრუნოთ ნორჩ ნერგზე, რათა შემდგომ ხელოვანი მოსავალი მოვიწიოთ. გამოდის, რომ ბავშვთა ცურვის მტკივნეული პრობლემა საერთოა, იგი მხოლოდ განათლების სამინისტრომ არ შეიძლება იტვირთოს, საჭიროა სხვა კომპეტენტური ორგანიზაციების დახმარებაც. ჩვენ ფიქრებით მაინც მომავალ სპარტაკიადასთან ვართ. პრობლემის ხელის ერთი დაკვრით გადაწყვეტა, როგორც ჩანს, შეუძლებელია, იგი მოითხოვს გრძელვადიან, საფუძვლიან მუშაობას. მაგრამ რა ვუყოთ მომავალი სპარტაკიადის მონაწილე მოცურავეებს? გაიმეორებენ ისინი ბავშვთა ცურვაში დაშვებულ შეცდომებს, თუ კვლავ წინანდელ შედეგს დასჯერდებიან? ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცურვის სპეციალისტებს მართებთ, მით უმეტეს, რომ მათ ჯერ კიდევ აქვთ დრო სპარტაკიადამდე ზოგიერთი ნაკლის გამოსასწორებლად მაინც. ისე კი, ცუდი არ იქნება იმის შეხსენება, რამდენ ქულას იძლევა ცურვა დიდ სპარტაკიადაში.

კვლავ მივუბრუნდეთ საყმაწვილო შეჯიბრებას. სპარტაკიადამ მწარე გაკვეთილები მოგვცა მძლეოსნობაშიც, სპორტის უპირველეს სახეობაში. თუ ჭაბუკებმა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად იასპარეზეს და რამდენადმე გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი, გული დავუწყვიტეს გოგონებმა. სპარტაკიადაში მონაწილე 63 მძლეოსნიდან არც ერთს არ შეუსრულებია სპორტის ოსტატისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი, პირველი თანრიგის შედეგი გვიჩვენა 14 სპორტსმენმა, დანარჩენები კი მხოლოდ მეორე და მესამე თანრიგის ნორმატივებს შესწვდნენ. როგორც ხედავთ, ამ მშრალ, მაგრამ მჭევრმეტყველურ ციფრებში სასიხარულო ცოტაა. რატომ ხდება ასე? საამისოდ კვლავ დაგვჭირდება სტატისტიკის „ენა“. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების თითქმის 95 პროცენტს აქვს განათლების სისტემის მძლეოსნობის 337 ჯგუფი, რომლებიც აერთიანებენ 5 ათასზე მეტ მოსწავლეს. მათ წვრთნის 181 შტატიანი მწვრთნელი. დიდებული მაჩვენებლებია, — წამოიძახებს საქმეში ჩაუხედავი კაცი. ვერც მასობრიობას დავემდურებით, ვერც სკოლების უმცარობას და ვერც მწვრთნელებისას. ეს მართლაც ასეა. მაგრამ ციფრები ხშირად როდი გამოხატავენ საქმის ჭეშმარიტ სურათს. სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ჩვენი ქრონიკული ჩამორჩენა მძლეოსნობაში? თუ ბავშვთა შეჯიბრებაში უშუალო მეტოქეებთან რამდენიმე ქულას შეველიეთ, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ დიდი სპარტაკიადის მონაწილეები თავიანთ სიტყვას იტყვიან და კიდევ უფრო არ გაამუქებენ სურათს? საამისო გარანტია არ არსებობს, თითო-ოროლა ვარსკვლავი ჩვენს ძლეოსნობაში გაზაფხულს ვერ მოიყვანს. და აქ კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა წამოიჭრება.

კაცმა რომ თქვას, ეს პრობლემათა პრობლემაა. ჩვენი სპორტის ზოგიერთ სახეობას უცნაური სენი დასჩემდა. ცალკეულ ვარსკვლავებსა და სპორტსმენთა დანარჩენ მასას ღრმა უფსკრული არ უნდა ყოფდეს, პირობით ელიტად და პლებსად არ უნდა ხაწილდებოდეს. საერთოდ, სპორტული მიღწევები ბევრადაა დამოკიდებული ეგრეთ წოდებული საშუალო სპორტსმენის პრობლემის სრულფასოვან გადაწყვეტაზე. თუ სპორტს ხერხემალს არ ამაგრებს და ამტკიცებს საშუალო, ძლიერი სპორტსმენების მასა, იგი წელში გადატყდება. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სწორედ საშუალო სპორტსმენთა შემწყობითა და თანადგომით იბადებიან ექსტრაკლასის სპორტსმენები. თანაც, სტაბილური და შედეგიანი მაჩვენებლები, განსაკუთრებით გუნდურ შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებში, სწორედ სპორტსმენთა ერთობლივი შრომით მიიღწევა. მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ: ყველამ იცის, რომ ჩოგბურთი, წყალბურთი, ფარიკაობა, ძალოსნობა, ფრენბურთი, ტანვარჯიში, ქალთა ალათბურთი, რომ აღარაფერი ვთქვათ მძლეოსნობასა, ცურვასა და ზოგიერთ სხვა სახეობაზე, სწორედ თითოოროლა მაღალი კლასის სპორტსმენზეა დანდობილი. მიუხედავად ჩვენი სპორტის წლევანდელი უდავო მიღწევებისა, ეს პრობლემა ამ სეზონს არ გადაუწყვეტია. მაგრამ წინ ხომ სპარტაკიადის წელი გვიდევს, შემდეგ — ოლიმპიადა. ამიტომ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ქართულ სპორტში თეთრი ლაქების მოსასპობად.

წინა წერილებში ქებით მოვიხსენიეთ ჩვენი ფეხბურთელები და რეგბისტები, რომელთა წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ახალი ტიპის მწვრთნელებს. ესეც სეზონის ერთ მეტად საგულისხმო შტრიხად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ქართულ სპორტში მოვიდა მწვრთნელთა ახალი ტალღა, და ეს მარტოოდენ ფეხბურთსა და რეგბის არ ეხება. სხვა საკითხია, რაოდენ გაელესას ახდენს არა მარტო ცალკეული სახეობებს, არამედ საერთოდ ჩვენი სპორტის წინსვლაზე ახალი ფორმაციის, კომპეტენტური, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული მწვრთნელების ტალღა. ჯერჯერობით ეს პრობლემაც ღიად დაგვიტოვა განვლილმა სეზონმა.

სპორტში, ისევე როგორც ცხოვრებაში, პრობლემები არ დაილევა. ზოგჯერ პრობლემის გადაწყვეტა ახალ პრობლემას წარმოშობს. მაგალითად, ალბათ, ჩვენი სპორტული მოძრაობის წლის საუკეთესო გუნდმა თბილისის „დინამომ“ გადაწყვიტა საკავშირო ჩემპიონატში თავისი პროგრამა-მექსიმუმი, განდა ქვეყნის ჩემპიონი. მაგრამ ჩვენ სეზონმა მაინც დაგვიტოვა უკმაოობის, სინანულის გრძნობა, რადგანაც სსრ კავშირის ჩემპიონმა წაფორხილა ევროპულ ტურნირში. მაგრამ ჩვენ ეს პრობლემაც არა გვაქვს მხედველობაში, როცა საერთოდ ქართული სპორტის ჩრდილოეთ მხარეებზე გულისტკივილით ვლაპარაკობთ.

და მაინც, ჩვენ იმ აზრს ვიდგავართ, რომ სეზონი — 78 ქართული სპორტისათვის ხელოვანი იყო. ამჯერად მიღწევებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაჩრდილა ჩამორჩენა. მით უფრო, მეტი ენთუზიაზმით შედგამს ფეხს ქართული სპორტი ახალ წელში, მით უფრო დიდი იქნება ჩვენი სპორტული არმიის მისწრაფება — სპარტაკიადასა და ოლიმპიადაში ამრავლოს ქართული სპორტის დიდება.

არჩილ გოგელია.

ტანვარჯიში

კვარცხლბეკის ყველა საფეხური — თბილისელებს

საქართველოს კომკავშირის თასზე

თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში დამთავრდა რესპუბლიკის XXIV ახალგაზრდული პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის თასზე.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ტანმოვარჯიშეები.

გარდამავალი თასის მფლობელი კვლავ ოცდამეოთხედ გახდა თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის (დირექტორი მ. იმნაძე) პირველი გუნდი. II ადგილზეა ამავე სკოლის მეორე ნაკრები, მესამეზე — „განთიადის“ ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის გუნდი.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ თბილისელი ტანმოვარჯიშეები, რომლებიც, როგორც წესი, კვარცხლბეკის სამივე საფეხურს ეუფლებოდნენ. სპორტის ოსტატ გოგონათა შორის უძლიერესი იყო განთიადელი ა. ბაბასიანი (69,15 ქულა), II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ს. ფილატოვა (68,9), მესამეზეა — ნ. ნაცვლიშვილი (განათლების განყოფილება) — 68,3.

ოსტატობის კანდიდატთა შორის პირველობა მოიპოვა ლ. გალჩენკომ („განთიადი“) — 72,45. მეორე ადგილზეა მ. გრძელიშვილი (განათლების განყოფილება) — 69,5, მესამეზე — მ. გვარაშაძე („დინამო“) — 68,8.

ნებისმიერი პროგრამით გამოსვლა გოგონათა შორის [illegible] შნავია ქ. მელიქაძე და გ. ხამულაშვილი (ორივე — „განთიადი“), ლ. თაყნიაშვილი (განათლების განყოფილება).

გუნდურ ჩათვლაში გოგონათა შორის უძლიერესი იყო — „განთიადი“.

კაკ სპორტის ოსტატთა შორის გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ა. ხაჩატურიანი (განათლების განყოფილება) — 98,55 ქულა, ა. მილოვიდოვი („განთიადი“) — 98,0, კ. სულთანიშვილი (განათლების განყოფილება) — 96,6.

ოსტატობის კანდიდატთა შორის I ადგილზეა გ. სელიმაშვილი (განათლების განყოფილება) — 97,5, II ადგილზე გამოვიდა ა. სუკიასიანი („განთიადი“) — 97,15, III — პ. წერეთელი (ქუთაისის სპორტული სკოლა) — 94,0.

პირველთანრიგოსან ვაჟებში გაიმარჯვეს: ა. ლებედევმა, გ. თოთლაძემ (ორივე განათლების განყოფილება) და ა. ბერიანიძე. (განათლების განყოფილება).

გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა განათლების განყოფილებას პირველმა გუნდმა.

ზრავალვიდის ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: გოგონებში — დინამოელმა ნ. ჯულუმბეგაშვილმა (ბჯენითი ხტომები და ორძელი), განთიადელმა ი. ბაბასიანმა (დვირი და თავისუფალი ვარჯიში); ვაჟებში — განათლების განყოფილების გუნდის წევრებმა კ. სულთანიშვილმა (თავისუფალი ვარჯიში, ბჯენითი ხტომები, ორძელი) და ა. ხაჩატურიანმა (ღერძი), განთიადელმა ა. მილოვიდოვმა (ტაიჭი და რგოლები).

გამარჯვებულ გუნდებსა და ცალკეულ სპორტსმენებს სახეიმო ვითარებაში გადაეცათ საპატიო თასები და სიგელები.

მარინე ყაციალაშვილი.



ალამი დაეშვა



ხურათებზე: მ. ტალი, ვ. ცეშკოვსკი, ლ. პოლუგაევსკი, თ. გიორგაძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

დასასრული

ამრიგად, ქვეყნის 46-ე ჩემპიონატი დამთავრდა. აი, მისი შედეგები: მ. ტალი, ვ. ცეშკოვსკი — 11-11 ჭულა, ლ. პოლუგაევსკი — 10, თ. გიორგაძე — 9,5, ე. გელერი, ა. ბელიავსკი, ო. რომანიშინი, ე. სვეშნიკოვი — 9-9, გ. კასპაროვი 8,5 (ეს მოჭადრაკეები 47-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ), ვ. ბაგიროვი, ს. მაკარიჩევი, გ. ტომოშჩენკო, ბ. გულკო — 8-8, ა. მიხალჩიშინი, ი. რაზუვაევი — 7,5-7,5 (ეს მოჭადრაკეები პირველ ლიგაში მიიღებენ მონაწილეობას), ვ. ტუქმაკოვი — 7,5, ი. დორფმანი — 6,5, გ. კუზმინი — 6 (სამივემ 47-ე ჩემპიონატში თამაშის უფლება რომ მოიპოვოს, ბრძოლა საკავშირო მასობრივი ტურნირიდან უნდა დაიწყოს).

შეჯიბრების დებულებით ორივეს, ტალსა და ცეშკოვსკის, ჩემპიონის სახელი მიენიჭა. ტალი მეექვსედ გახდა ჩემპიონი, ცეშკოვსკი — პირველად.

ორ მონაწილეს — ტალსა და გიორგაძეს ჩემპიონატში პარტია არ წაუგიათ. საერთაშორისო დიდოსტატმა გიორგაძემ საბჭოთა დიდოსტატის წოდების მისაღებად მისი პირველი ბალის ნორმატივი შეასრულა. თბილისელი მოჭადრაკის წარმატება ჩემპიონატის სასიამოვნო მოულოდნელობაა და უდაოდ ყველაზე უკეთესი შედეგი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟს მოუპოვებია.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა 15 წლის კასპაროვის თამაშმა. ნათელია, რომ მისი სახით საბჭოთა საჭადრაკო სკოლას საიმედო შევსება ჰყავს. ეჭვგარეშეა, რომ უახლოეს დროში კასპაროვი დიდოსტატის წოდებას მოიპოვებს. მისი მწვრთნელი, ოსტატი ა. ნიკიტინი დარწმუნებულია, რომ 5 წლის შემდეგ კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონის სახელს პრეტენდენტი იქნება. შესაძლებელია. მართლაც, გარის მიღწევები გვაგონებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის რ. ფიშერის ტრიუმფალურ წინსვლას ჭაბუკობის წლებში.

ვ. მიკენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გუშინ საღამოს ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ.

შეჯიბრების სპორტულ-შემოქმედებითს შედეგებზე ილაპარაკა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მიკენასმა.

შემდეგ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სახელით სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბას დირექტორმა ი. ლიაპუნოვმა ჩემპიონის ოქროს მედლები გადასცა მ. ტალსა და ვ. ცეშკოვსკის, ბრინჯაოსი — ლ. პოლუგაევსკის. დანარჩენმა პრიზიორებმა სიგელები მიიღეს.

ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს მოჭადრაკეთა დავალებით საერთაშორისო არბიტრი თ. გიორგაძე, თბილისის საზოგადოებრიობის სახელით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე.

გულითადი მასპინძლობისათვის მონაწილეთა სახელით სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ექსეგზის ჩემპიონმა მ. ტალმა.

თბილისის საწარმოო-დაწესებულებებმა მონაწილეთათვის სხვადასხვა სპეციალური ჯილდო დაწესეს. ჩემპიონატის მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ე. ნუზმა უხელმძღვანელა ამ პრიზების გადაცემას.

სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატის ალამი დაეშვა...

მწვრთნელის ლაბორატორია

ახალი ილეთი

სიახლეებს სპორტის ნებისმიერ სახეობაში და მათ შორის ჭიდაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მსოფლიოს ერთ-ერთ ჩემპიონატში სომეხმა ფალავანმა ნელსონ დავიდიანმა მანამდე უცნობი ილეთი გამოიყენა — უკუშემობრუნებით ზურგიდან გდება ორივე ხელით გვერდიდან მოწინააღმდეგის ხელის ჩავლებით. ამან დავიდიანს საშუალება მისცა შედარებით იოლად მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — მეტოქენი აშკარად არ იყვნენ მზად მისი შეტევების მოსაგერიებლად. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ახალი ილეთი, რომლითაც ალექსანდრე იენანიცკი ეფექტურად ანარცხებდა ხალიჩაზე მეტოქეებს. ახლა ამ ფანდს ბევრი ცნობილი მოჭიდავე იყენებს.

შემოქმედებითი ძიება, ახალი ილეთების შემუშავება დღესაც გრძელდება. ეს ამდიდრებს, უფრო საინტერესოსა და მომზიდველს ხდის ჭიდაობას.

ჩვენ შევიმუშავეთ და დღეს მკითხველის სამსჯაროზე გამოგვაქვს ახალი ილეთი — მოგრეხვა ზემოდან (წინიდან) ნიკაპში ჩავლებით.

საწყისი მდგომარეობა ჩვეულებრივია. შემტევი იქერს მოწინააღმდეგის თავს ზემოდან (წინიდან) ქვედა ყბის ჩავლებით (სურათი 1). ამასთან ერთად, საჭიროა შემტევმა თავი მჭიდროდ მიაყრდნოს მეტოქის თავს (სურათი 2). შემდეგ ორივე ფეხი გაიქნს უკან და ერთდროულად სახით მოწინააღმდეგისკენ ბრუნდება (სურათი 3).

შემობრუნების დროს შემტევი თავისუფალი ხელით ლეიბს ეყრდნობა, ერთდროულად ჯდება (სურათი 4) და აგრძელებს მეტოქის კისრის მოგრეხვას, შემდეგ წამოუვლის ზურგზე დასაცემად გამზადებულ მოჭიდავეს (სურათი 5) და მხრებზე ჩავლებით ხალიჩაზე ბეჭებით აკრავს (სურათი 6).

თავისუფალ ჭიდაობაში ანალოგიური საწყისი მდგომარეობიდან შეიძლება განხორციელდეს უფრო ეფექტური გაგრძელება: ფეხების უკან გატანის მომენტში შემტევი თავისუფალი ხელით იქერს მეტოქის შესაბამის ფეხის ქუსლებს (სურათი 7) და მიიზიდავს შებოჭილი ყბისკენ (სურათი 8). ამ მდგომარეობაში წინააღმდეგობის გაწევა თითქმის შეუძლებელია. მეტოქე იძახებდა და თავზე წინ გადაგორდება (სურათი 9). ჭმინდა მოგების ფიქსირებისთვის შემტევი შემოუვლის მოწინააღმდეგეს და ილეთს ამთავრებს (სურათი 10).

ამ ილეთის შესწავლა დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ილეთის ჩატარება მიზანშეწონილია პირველ პერიოდში (როცა მეტოქე გაოფლიანებული არ არის და შეიძლება საიმედო ჩავლების განხორციელება), ან მომდევნო პერიოდების დასაწყისში.

ჩავლება უნდა განხორციელდეს სწრაფად, გაბედულად და ილეთი ასევე სწრაფ ტემპში უნდა გაგრძელდეს, რომ მოწინააღმდეგემ თავისუფალი ხელით შებოჭილი ნიკაპის განთავისუფლება ვერ მოასწროს.

ო. რევიშვილი,
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი.













თქვენ რას იტყვით?

ვიმოწმენა

ზომავალი თაობის ფიზიკურ აღზრდას დღეს ისეთი ყურადღება ექცევა, როგორც არასდროს. მას გარკვეული დრო აქვს დათმობილი საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ყველგან, სადაც კი სწავლობს და შრომობს ახალგაზრდობა. ამას გარდა, ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას სპორტსკოლები ფართოდ უღებენ კარს ათასობით მოზარდს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, გაიზარდა სპორტსკოლების რიცხვიც, მაგრამ საკმარისი მაინც არაა. რა ქნან იმ ბავშვებმა, რომელთაც ძალიან უნდათ იარონ სპორტსკოლაში, დაეუფლონ სპორტის რომელიმე სახეობას, მაგრამ ხელს არ უწყობთ ფიზიკური მონაცემები. მითუმეტეს, თუ სპორტსკოლებში მიღება შერჩევით ხდება.

არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე იმ დიდი სიხარულისა, რომელსაც ბავშვი გამიხატავს სპორტსკოლაში მიღებისას. რომელ მოზარდს არ უნდა გაიზარდოს ძლიერი, ჯანმრთელი და, საერთოდ, ყოველმხრივ განვითარებული. მწვრთნელები კი მსურველებიდან არჩევენ ყველაზე „ძლიერებს“. „სუსტებმა“ კი თვალცრემლიანნი ბრუნდებიან უკან. ჩვენც სწორედ მათი ბედი გვაინტერესებს და გვაწუხებს. კარგი იქნებოდა, რომ სპორტსკოლებში ყველას ღებულობდნენ. მაგრამ მათაც ხომ თავიანთი გეგმები აქვთ და... ხშირად, ისეც ხდება, რომ ამა თუ იმ მოზარდს პერსპექტიულად თვლიან. ბოლოს, გადის წლები და აღმოჩნდება, რომ მათზე თურმე ამოდ ამყარებდნენ იმედებს. ეგეც არ იყოს, არც თუ ისე იშვიათად, იმ „სუსტებს“ შორის იმალება ტალანტი.

ამის დასტურად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ რამდენიმეც საკმარისი იქნება: ამერიკელი ხანგი მორბენალი ვილმა რუდოლფი ბავშვობაში თერთმეტ წლამდე ვერ დადიოდა. — ორივე ფეხის დამბლა ჰქონდა. მხოლოდ ვარჯიშის წყალობით დაიწყო სიარული, შემდეგ რბენა, ბოლოს კი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა მძლეოსნობაში. გავიხსენოთ ამერიან ხიზანიშვილის წარსული. ბავშობაში ფიზიკურად ძალზე სუსტი იყო. 16 წლისა „პროტექციით“ კრივის სექციაში მიიღეს. მაგისაგან არაფერი გამოვაო, — ამბობდნენ. ახლა კი ამერანი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია. თინა ლეკვეიშვილიც ბავშობაში ძალზე სუსტი იყო. ხშირად ცივდებოდა. მერე ცურვაში დაიწყო ვარჯიში. ცისფერ ბილიკებზე ევროპის თასიც მოიგო და კონტინენტის რეკორდიც დამყარა.

რა თქმა უნდა, ყველა ჩემპიონი ვერ გახდება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი უპირველესი მიზანი, საერთოდ სპორტის მიზანი ხომ ჯანსაღი თაობის აღზრდაა. ეგეც არ იყოს, ბევრი მოზარდი, ჩემპიონობაზე თუ არა, მწვრთნელისა თუ ფიზკულტურის მასწავლებლის პროფესიაზეც ოცნებობს. სპორტული სექციის გარეშე კი ვერც ჩემპიონი გახდება, ვერც მწვრთნელი და ვერც მასწავლებელი. ჩვენ არა მარტო სახელოვანი სპორტსმენები გვჭირდება, არამედ ფიზკულტურული მუშაკებიც.

ხომ არ აჯობებდა, სპორტსკოლებში შეძლებისდაგვარად ყველა მსურველი ჩაგვერიცხა. განსაზღვრული პერიოდისთვის ყოველ მათგანს საშუალება ექნება მეტნაკლებად გამოიმეღვანონ თავიანთი შესაძლებლობა. ეს საშუალებას მოგვცემს ნაკლებად დავუშვათ შეცდომები საუკეთესოთა შერჩევაში.

თქვენ რას იტყვით, მწვრთნელებო, ფიზკულტურის მასწავლებლებო, სპეციალისტებო?

ჯ. სალუქვაძე.

საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზები

თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზის ღია გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდის, ტექნიკურ სახეობებში (ფარიკაობა, საცხენოსნო სპორტი და სროლა), ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებთან, „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოების გუნდებთან ერთად ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის (2) კოლექტივებიც ჩაებნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სომხეთის პირველმა ნაკრებმა — 11730 ქულა, II ადგილზე გასულმა საქართველოს ნაკრებმა 10 ქულით ნაკლები მოაგროვა, III ადგილზეა სომხეთის მეორე გუნდი — 10536 ქ.

პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო საქართველოს ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი მ. ნოეოსელიანი (5042 ქ.). II ადგილზე ასევე თბილისელი სპორტსმენი თ. ახალშენიშვილი გავიდა (4974), III იყო სომხეთის პირველი გუნდის წარმომადგენელი ა. ოგანესიანი — 4930. ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: თ. ახალშენიშვილმა (ფარიკაობა), ს. აღლაძემ (საცხენოსნო სპორტი, სომხეთის პირველი ნაკრები) და ს. მაკაროვმა (სროლა, „დინამო“).

მ. ამირიძე.